კონსტრუქციული დასკვნა

კონსტრუქციული დასკვნა განხორციელდა თბილისში სამხედრო გზის შესახვევი #2-ში მდებარე შპს "ედვაიზ ჯგუფი"-ს ერთსართულიან შენობაზე. კვლევა შესრულდა ობიექტის რეკონსტრუქციისა და მიშენების სამუშაოებთან დაკავშირებით.

დავალების მიხედვით განხორციელდა ობიექტის ვიზუალური ტექნიკური შესწავლა. შემოწმებით დადგინდა, რომ შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა გაბარიტული ზომებით 30.27X7.37 მ. მის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ორი გრძივი და სამი განივი მზიდი კედელი. კედლების სისქე 0.4 მ-ია. მზიდ კედლებში მოწყობილია რკინაბეტონის ვერტიკალური ჩანართები, სახურავის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინა- ბეტონის ანაკრები კოჭები. ისინი განავი მიმართულებით ყოველ 6.0 მ-შია მოწყობილი. მზიდ კოჭებზე გრძივი მიმართულებით დამონტაჟებულია სახურავის რკინაბეტონის ანაკრები წიბოვანი ფილები. შენობის პერიმეტრისა და განივი მზიდი კედელების თავის ნიშნულებზე მოწყობილია ანტისეისმური სარტყლები. სახურავი შუა გრძივი სიმეტრიის ღეძიდან (კეხიდან) დახრილია ორივე მიმართულებით. დახრილობა მცირედია და კეხის მაქსიმალური აწევა შეადგენს 0.5 მ-ს. შენობის ბურული ბრტყელია, რამდენიმე ფენა რუბეროიდის. შენობის დასაძირკვლების დაგენის მიზნით გაყვანილ იქნა შურფი. დადგინდა, რომ საძირკვლები ლენტურია რკინაბეტონის, კედლის სისქიდან ორივე მიმართულებით გაგანივრებული.

ტექნიკურმა კვლევამ ცხადყო, რომ შენობის მზიდ კონსტრუქციებში არ შეინიშნება სეისმური ზემოქმედებისა და საძირკვლების ჯდენის შედეგად წარმოქმნილი დეფორმაციები და მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. პროექტი ითვა ლისწინებს არსებულ მოცულობაში მხოლოდ ტიხრების დემონტაჟს, რამდენიმე ღიობის ამოშენებს და ახალი ღიობების მოწყობას. ასევე სახურავის ტიპის შეცვლას და თუნუქის ბურულის მოწყობას.

ახალი მინაშენი ხორციელდება შენობის უკანა ფასადის გასწვრივ მთელს სიგრძეზე, დამოუკიდებელ ლენტურ საძირკველზე მოწყობილი 20 სმ-ანი სისქის კედლებითა და მსუბუქი, ხის კოჭებზე დაყრდნობილი თუნუქის ბურულით. ზემოხსენებული რეკონსტრუქცია-მიშენების სამუშაოების განხორციელება ტექნიკური თვალსზრისით დასაშვებია. ჩასატარებელი სამუშაოები არსებული შენობის საერთო ტექნიკურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას არ იქონიებენ.

შემსრულებელი:

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი დავით რამიშვილი